გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
დადგენილება № 45

2022 წლის 30 დეკემბერი

ქალაქი გორი

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №8 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 16/11/2017, 010250030.35.148.016392) დამტკიცებული №1 დანართი შეიცვალოს ახალი №1 დანართით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

№	რანგი	კატეგორია	თანამდებობა	რაოდენობა	სარგო
1			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარე	1	5566
			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4356
2			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	3509
3			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3025
4			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	3	2662
5			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	11	2178
6	I რანგი (მაღალი მმართველობითი დონე)	პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის თანამდებობა	საკრებულოს აპარატის უფროსი	1	2420
7	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	უფროსი სპეციალისტი	3	1331
8	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	უფროსი სპეციალისტი	14	1210
9	IV რანგი (უმცროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა	უმცროსი სპეციალისტი	1	968